„ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“

რექტორის **2023 წლის 02 დეკემბრის N01-09/24 ბრძანების**

დანართი N1

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია

1. გამოცხადდა ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,დიპლომირებული მედიკოსი" განმახორციელებელი **მოწვეული პერსონალის** (უფროსი მასწავლებელი - დოქტორის ხარისხის მქონე; მასწავლებელი - დოქტორის ხარისხის არმქონე) **შესარჩევი ღია კონკურსი:**

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საბაზისო მედიცინის მიმართულებით;

ბ) პრეკლინიკური მიმართულებით;

გ) კლინიკური მიმართულებით:

2. მოწვეული პერსონალის **საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

ა) არანაკლებ მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლება - მოწვეული მასწავლებლის შემთხვევაში, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხი - მოწვეული უფროსი მასწავლებლის პოზიციის დასაკავებლად;

ბ) ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენცია;

გ) კლინიკურ დეპარტამენტში კლინიკური მიმართულების სასწავლო კურსებისთვის - საექიმო საქმიანობის სერტიფიკატი, ასევე შესაბამისი მიმართულებით კლინიკური გამოცდილება, უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად);

დ) სასწავლო კურსის პროგრამის - სილაბუსის შემუშავების და განვითარების გამოცდილება ან კომპეტენცია;

ე) შესასრულებელი შრომითი დატვირთვის მიმართულებით **არანაკლებ ბოლო 3 წლის** სამუშაო გამოცდილება;

3. განისაზღვრა საკონკურსო ვადები:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება - 2023 წლის 5 დეკემბრიდან 2024 წლის 05 მარტის ჩათვლით სამუშაო დღეებში (შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა), 10^{00} სთ-დან 16^{00} სთ-მდე (ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4, მე-4 სართული, ოთახი N417). დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მატერიალური **და/ან ელექტრონული სახით ელ. ფოსტაზე** - info@avicenna.ge;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა **დოკუმენტაციის შეფასება (კონკურსის პირველი ეტაპი)** – საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუადრეს 5 სამუშაო დღისა და დოკუმენტაციის შემოტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;

გ) კონკურსანტთან გასაუბრება (კონკურსის მეორე ეტაპი) - საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების შემდეგ, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, რექტორთან შეთანხმებით (კონკრეტული თარიღის შესახებ კონკურსანტს ეცნობოს პირად ელექტრონულ ფოსტაზე/მობილურ ნომერზე შეტყობინების გაგზავნის გზით);

დ) **კონკურსის შედეგების** გამოქვეყნება (კონკურსანტების სია, სახელის, გვარის, საკონკურსო მიმართულების მითითებით) - ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.avicenna.ge და საკონკურსო კომისიის მუშაობის ადგილზე (ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4, მე-4 სართული) და დაეგზავნოს კონკურსანტებს პირად ელექტრონულ ფოსტაზე;

ე) კონკურსის ჩატარების პროცედურის ან საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება **(აპელაცია)** -გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან (კონკურსანტზე გაგზავნიდან) 2 სამუშაო დღეში, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე (ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4, მე-4 სართული, ოთახი N417);

ვ) გამარჯვებულ კონკურსანტებთან **შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება - 2024 წლის 11 მარტიდან.**

4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განაცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ - იხ. ბმული.

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) **CV** ;

დ) ფოტოსურათი (3X4);

ე) საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენციის დამადასტურებელი ცნობა;

ზ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით **საექიმო საქმიანობის უფლების** დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატი;

თ) კლინიკური დისციპლინების მიმართულებით **კლინიკაში სამუშაო გამოცდილების ამსახველი ცნობა** (კონკურსის პერიოდისათვის კონკურსანტის მოქმედი შრომითი კონტრაქტის/უწყვეტი/აქტიური შრომითი ურთიერთობის შესახებ);
ი) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი/პუბლიკაცია (<u>არსებობის შემთხვევაში</u>);

კ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ან/და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (კონფერენცია, ფორუმი/ტრენინგი/კვალიფიკაციის ამაღლების/მომზადების/გადამზადების კურსები) მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები/სერტიფიკატები, ასევე გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები (არსებობის შემთხვევაში და სურვილისამებრ, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დოკუმენტაცია საკონკურსო განაცხადთან ერთად);

ლ) **სხვა დოკუმენტაცია,** რომელიც კონკურსანტის შეხედულებით დამატებით წარმოაჩენს მის შესაბამისობას <u>საკონკურსო მიმართულებასთან</u> (ინფორმაცია მიღებული გრანტების, სტიპენდიებისა და ჯილდოების შესახებ, ასევე რეკომენდაციები საგანმანათლებლო თუ კლინიკური დაწესებულებიდან ან ნებისმიერი სხვა რელევანტური ინფორმაცია);

მ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული <u>ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის</u> წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის არქონის შესახებ (სასურველია ცნობა იყოს მოქმედი საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის დროისათვის, ხოლო სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას).

5. უცხო ქვეყანაში/უცხო ენაზე გაცემულ დოკუმენტებთან ერთად (გარდა სამეცნიერო სტატიებისა) წარმოდგენილი უნდა იყოს მათი ქართულ ან ინგლისურ ენაზე ნოტარიულად დადასტურებული თარგმანი, ხოლო უცხო ქვეყნის უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად - მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი.

6. ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის თანახმად, **ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენციის დადასტურებისათვის გამოიყენება ერთ-ერთი შემდეგი კრიტერიუმი:**

ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება;

ბ) საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

გ) საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

დ) ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ე) ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით.

7. მოწვეული პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსი 2-ეტაპიანია:

ა) პირველი ეტაპი - კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/ინფორმაციის შეფასება;

ბ) მეორე ეტაპი - კონკურსანტებთან გასაუბრება.

8. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, გარდა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის ან/და პირის, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

9. კონკურსანტთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებას, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამუშავებას, კონკურსანტთა შეფასებას, ავიცენას აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის მოთხოვნებთან და კონკურსის პირობებთან მათი შესაბამისობის დადგენას, კონკურსის წინასწარი/პირველი შედეგების გამოქვეყნებას, კონკურსანტის მიერ გასაჩივრების შემთხვევაში აპელაციის განხილვას, გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენას და რექტორისათვის წარდგენას **უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია.**

10. კონკურსანტი უფლებამოსილია დადგენილ ვადებში გაასაჩივროს კონკურსის ჩატარების პროცედურა ან კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საჩივარი/აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული და საფუძვლად ედოს კომისიის მხრიდან კონკურსის ჩატარების პირობებისა თუ პროცედურების დარღვევის ფაქტი.

11. საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის თაობაზე და კონკურსის საბოლოო შედეგები ქვეყნდება ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www. avicenna.ge).

12. კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.